ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის დასახელება: აგრარული ეკონომიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი აგრარულ ეკონომიკაში (Ph.D in Agricultural Economics)

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ეთერ ხარაიშვილი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- **<u>მიზანი:</u>**

პროგრამის ძირითადი მიზანია კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ აგრარული ეკონომიკის სფეროში ინოვაციური ცოდნის შექმნას, კრიტიკულ აზროვნებას, მოთხოვნების შესაბამისად მათ გენერაციას, ტრანსფორმაციას და გავრცელებას სამეცნიერო და სასწავლო პროცესში. ასევე, კადრების მომზადება ეფექტიანი ადმინისტრირების განსახორციელებლად სოფლის მეურნეობისა და სასურსათო სფეროს შესაბამის ორგანიზაციებსა და კომერციულ სტრუქტურებში.

- **<u>პროგრამის შედეგი:</u>**

დარგობრივი კვალიფიკაცია – სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება დარგობრივი კვალიფიკაცია ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი აგრარულ ეკონომიკაში (Ph.D in Agricultural Economics).

დოქტორები მომავალი ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალი მენეჯერები არიან, რომელთაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები და გაავრცელონ ისინი პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

ფილოსოფიის დოქტორს აგრარულ ეკონომიკაში მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება საბაზრო ეკონომიკის შესაბამის პირობებში. მან უნდა იცოდეს:

- მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;
- სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- საერთო ეკონომიკური ციკლის დისციპლინები: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ეკონომეტრიკა, ეკონომიკური სტატისტიკა, ფინანსები რომელთა ცოდნა საშუალებას აძლევს მიიღოს დასაბუთებული

გადაწყვეტილება, განსაზღვროს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მოახდინოს პროგნოზირება;

დოქტორის კვალიფიკაცია განისაზღვრება მისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის ზოგადი კომპეტენცია მოცემულია დოკუმენტში, რომელიც შემუშავებულია ბერგენის კონფერენციაზე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის (www.bolgna-bergen2005.no).

დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით, აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:

-თავის საქმიანობაში გამოიყენოს კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;

-მეცნიერულ კვლევებში ფართოდ გამოიყენოს ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები;

-მართოს საწარმოს (ორგანიზაციის) ბუღალტრული აღრიცხვის და შიდა აუდიტის სამსახურები;

-ასწავლოს აგრარული ეკონომიკა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

- <u>კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:</u>

– კურსდამთავრებულები მომზადებულნი იქნებიან მაღალი დონის პოზიციების დასაკავებლად აგრობიზნესის სახელმწიფო და კომერციულ ორგანიზაციებში საქმიანობის შემდეგი მიმართულებებით: მარკეტინგი, საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი, პროდუქციით ვაჭრობა, სურსათის წარმოება, ფინანსური მომსახურება, ინვესტიციები, გაყიდვები, ეკონომიკური პროგნოზირება, მენეჯმენტი და სხვა.

დოქტორებს შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით.

- <u>სადოქტორო პროგრამაზე მიღების სავარაუდო წინაპირობები:</u>

აგრარული ეკონომიკის ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო

წინაპირობებს, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს (თსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 მაისის დადგენილება №23). მას უნდა გააჩნდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკანდიდატო მინიმუმის საგნები და /ან აპრობაცია ჰქონდეს გავლილი.

- <u>**განსაკუთრებული პირობები:**</u>

ინდივიდუალური პროგრამით ჩარიცხულმა დოქტორანტმა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს დისერტაცია არსებული დებულების შესაბამისად. ტექნიკური მოთხოვნები გამომდინარეობს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებიდან. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ორს გავლილი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ექსპერტიზა. სტატიებს შეაფასებენ ექსპერტები საერთაშორისო კრიტერიუმებით. ქულების მაქსიმალური რაოდენობა არის 20. სტატიებზე უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში (11–15 ქულა) დოქტორანტს ეძლევა სამი თვე სტატიის გადასამუშავებლად, ხოლო 11-ზე ნაკლები ქულის შემთხვევაში – ექვსი თვე.